№ 17

შაბათი, 24 იანვარი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 8 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 9 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1898

# ივერია

№ 17

შაბათი, 24 იანვარი, 1898 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

ეროვნული ბიბლიოთეკა

Тифлисский филиал БИБЛИОТЕКА ИМЭЛ при ЦК ВКП(б)

**ალექსანდრე მირიანის ძე და ნადეჟდა ალექსანდრეს ასული ჭყონიები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გარდაცვალებულის—პირველის მამისა და მეორესი მამამთილისა

## მირიან ბექანის ძის ჭყონიასი

წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში 25 იანვარს, დილის 10 საათზე.

**ნადეჟდა ალექსანდრეს ასული და ალექსანდრე მირიანის ძე ჭყონიები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა, რომ გარდაცვალებულის—პირველის დედისა და მეორესი სიდედრის

## ეკატერინე ათანასეს ასულის შერვაშიძის

წლის წირვა და პანაშვიდი გარდახდილი იქმნება წმ. ნიკოლოოზის ეკლესიაში 25 იანვარს, დილის 10 საათზე.

## ქართული თეატრი

კვირას, 25 იანვარს,

ქართულის დრამატიულის დასისაგან **ეფ. და დავ. მესხის** მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება

I

## ბაგრატ მეოთხე

ისტ. დრამა 4 მოქმ., კ. მესხისა

II

## ადამ და ევა

კომედ. 2 მოქმედ., თარგმ. დ. მესხისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ეფ. მესხისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთლისა, გარელი. ბ-ნნი აბაშიძე, დ. მესხი, გედევანოვი, გამყრელიძე, სვიმონიძე, კანდელაკი, ადამიძე, კარბელი, საფაროვი, გვარამაძე და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ

რეჟისორი **ქ. მესხი.**

**კუკიის წმ. ნიკოლოოზის ეკლესიის კრებული** უმორჩილესად სთხოვს ამავე ეკლესიის მრევლს, მიიღონ შრომა და მობრძანდნენ **კვირას, 25 იანვარს**, ამავე ეკლესიის ახალ **მნათე—სტაროსტას ამოსარჩევად.** აწ მყოფს მნათეს გაუთავდა ვადა. ამორჩევა მოხდება ეკლესიაში **შუადღის 12 საათზედ.**

ბლაღ. მღ. სოლ. შოშიაშვილი

(2—9—1)

## ახალი ამბავი

—

*** როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, ტფილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა მიჰმართოს კავკასიის სხვა-და-სხვა ქალაქებსა და დაწესებულებებს და შეეკითხოს, რა დახმარებას აღმოუჩენენ ისინი პოლიტეხნიკუმს, თუ იგი ტფილისში იქმნა დაარსებულიო. ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა უკვე გაუგზავნა ქალაქებს შემდეგის შინაარსის წერილები: „რადგან კავკასიის ყველა მცხოვრებელთათვის მეტად სასარგებლო იქმნება, რომ პოლიტეხნიკუმი შუაგულ ადგილს—ტფილისში იქმნას დაარსებულიო, ტფილისის ქალაქის თვით-მართველობამ უმაღლესს მთავრობასთან შუამდგომლობა დაიწყო, რომ პოლიტეხნიკუმი მართლაც ტფილისში იყოს დაარსებული. ტფილისი, თავის მხრივ, ამ საქმეს სწირავს: 1) ერთხანად 100 ათას მანათს. ეს ფული უკვე შესდგა ქალაქის თანხიდგან ყოველ წლიურის გადადებით; 2) 200 დესეტინა მიწას და 3) ყოველ წლივ 30 ათასს მანეთს პოლიტეხნიკუმის დაარსების დღიდგან. ხოლო, რადგანაც ეს შეწირულება საკმაო არ არის და მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განძრახულის აზრის სისრულეში მოყვანა, თუ კავკასიის საზოგადო და კერძო დაწესებულებანი შემწეობას აღმოუჩენენ, ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობა იმედოვნებს, რომ (ესა და ეს) ქალაქის თვით-მმართველობა უარს არ იტყვის და ან ერთ ხნობით, ან ყოველ წლივ დაეხმარება მომავალ უმაღლესს ტეხნიკურ სასწავლებელს. ამასთან იმედი გვაქვს, რომ რაც შეიძლება მალე გვაცნობებთ, რა გვარად და რამდენად შეეწევით ამ საქმეს“.

*** ბ-ნი ტფილისის გუბერნატორი ამ ახლო მომავალში გადასცემს გუბერნიის ქალაქის საქმეთა საკრებულოს განსახილველად ქალაქის საბჭოს გადაწყვეტილებას პოლიტეხნიკუმის სასარგებლოდ ყოველ წლიწ ქალაქის მიერ 30 ათასის მანეთის გადადების შესახებ.

*** ამა წლის თებერვალში ტფილისის სამოსამართლო პალატაში გაირჩევა სააპელაციო საქმე „კავკასის“ რედაქტორად ნამყოფის ი. ნ. მილიუტინის და იმის თანამშრომლის ი. ლ. ბახტაძისა, რომელთაც ნაფიცი ვექილის თანაშემწე ბ-ნი გვაზავა უჩივის, გაზეთის შემწეობით ცილი დამწამესო.

*** პირველ იანვრიდგან ამიერ-კავკასიის რკინის გზის სატელეგრაფო ნაწილში 100 ზედ მეტი ახალი თანამდებობა დაარსეს, მაგრამ მართველობამ არ იცის ვის ჩააბაროს ეს თანამდებობანი, რადგანაც ამ ხელობის მცოდნე კაცები ცოტანი არიან.

*** ამ ზაფხულს ქუთაისში მოხდება ქალაქის საბჭოს ხმოსნების არჩევანები და ქუთათურები ეხლავე შესდგომიან „კენჭობის“ საქმეს.

*** გუშინ-წინ, 21 იანვარს უკანასკნელადა ჰქონდა კრება ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა იმ კომისიას, რომელსაც ტფილისის გუბერნიაში ერობის შემოღების საქმის შემუშავება აქვს ჩაბარებული. კომისიამ ყველა წევრთა ხმის უმეტესობით ერთის ხმის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ერობის შემოღება სასურველიაო.

*** ავლაბარში „საქალაქო სასწავლებლის“ დარბაზში იმართება ყოველ კვირა „სახალხო კითხვა“ იქაურ მოსწავლეთათვის და გარეშენიც ბევრნი ესწრებიან. კითხვის დროს დასწრება ყველას უფასოდ შეუძლიან და ყველას სასიხარულოდ მიაჩნია ეს ამბავი. წარსულ კვირას, 18 იანვარს, ჩვეულებრივად გაიმართა კითხვა და ხალხიც ბლომად დაესწრო; კითხულობდნენ რუსულად ფრიად სასარგებლო წერილს, „რა სახის არის დედამიწაო“ და შემდეგ ამას სომხურად უთარგმნიდნენ დამსწრეთ.

ამ გარემოებამ იმედი გაგვიცხოველა: საცაა ქართულადაც გადაგვითარგმნიანო, მაგრამ, საუბედუროდ, ქართულად კრინტიც არ დაუ-

## ფელეტონი

—

**მკაცრ სასჯელთა გავლენა**

(კავკასიაში ავაზაკობის წინააღმდეგ ერთის კანონმდებლობითის განკარგულების გამო).

(დასასრული *)

V

რაც ვსთქვით სასტიკ სასჯელთა და მათ რიცხვში სიკვდილით დასჯის შესახებ, ისიც, ვგონებ, საკმაოდ ცხადად და უეჭველად ჰმოწმობს, თუ რამდენად უსარგებლო და მეტია კანონი 13 სექტ. 1893 წლისა, რომლის საბრძოლველი იარაღი ავაზაკობათა აღმოსაკვეთად მხოლოდ სიმკაცრეა. ისტორიული გამოცდილება დიდი რამეა, იმითი ხელმძღვანელობა მუდამ საჭიროა, რათა წინათობათა შეცდომანი განმეორებულ არ იქმნას. აქამომდე, როგორც ამას წარსულ დროთა ცდა გვაჩვენებს, მეტად სასტიკ და ზარ-დამცემ სასჯელს არც ერთს სახელმწიფოში სიკეთე არ მოუტანია. ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ ევროპის სახელმწიფოებმა თანდათან შეიმუშავეს იმისთანა კანონ-დებულებანი, რომე ლიც მეტის ლმობიერებით, უფრო ადამიანურად უცქერის დამნაშავეს, ვიდრე ეს წინა დროს იყო. თეორიასა და საკანონ-მდებლო ცვლილებათ თან მოსდევდა მისი საქმით განხორციელებაც. ყველგან სიკვდილით დასჯა ძლიერ შემცირდა და ბევრ ადგილას სრულიადაც განიდევნა;[1]) სადაც შეზღუდულის სახით ჯერ კიდევ ჰმოქმედებს, იქაც მეტად იშვიათად და ფრთხილად ასრულებენ ამ სასჯელს: უმეტეს ნაწილად აქ ეგრედ წოდებულ პატიების უფლებით სარგებლობენ. ეს უკანასკნელი გარემოება ხომ ნათლად ამტკიცებს, რომ თუ კანონთა კრებულებაში ჯერ კიდევ არსებობს ასეთი სასჯელი, როგორც წარსულ, ბარბაროსულ დროთა მემკვიდრეობა, მაგიერად თანამედროვე ცხოვრება მაინც თავისას თხოულობს და დაწერილ კანონებს ხანდახან თითქოს არ ემორჩილება, ასწორებს იმისს შეცდომებს.

ამა თუ იმ ქვეყნის კანონმდებლობას მხოლოდ მაშინ აქვს ნიადაგი, მაშინ არის დაახლოვებით სრული, თანამედროვე, სამართლიანი, როდესაც ჭეშმარიტად შეუგნია ხალხის მოთხოვნილებანი, მისი ინტერესები, გაუცვნია მისი შეხედულებანი, ზნეჩვეულებანი, გონებრივი მდგომარეობა, როდესაც იგი შეიცავს მრავალ ურთიერთობას საზოგადოებრივ ცხოვრებისას და სხ.-და-სხ. ამ მხრივ რომ შევხედოთ ახალ კანონს, კავკასიაში შემოღებულს, იგი შეუფერებელია. მართლაც, რამდენად ეთანაბრება კავკასიის სხვა-და-სხვა ერთა ადათს, ზნეობრივ ცნებანს სიკვდილით დასჯა და ისიც საჯარო, რომელიც ერთობ გახშირდა ამ კანონის წყალობით? ვენ მთავრობას რომ ეს საგანი ჰქონოდა სახეში, შეიძლება ასეთი კანონი აღარ შემოეღო. საქმე ის არის, რომ ადგილობრივ მკვიდრთა ცხოვრებას ჯერაც მრავალ მხრივ რაინდობის ბეჭედი ასვია. მტარვალური, ადამიანის პიროვნების უარ-მყოფელი სასჯელი სრულიად ეწინააღმდეგება იმის ზნეობრივს შეხედულებას. აქ ხშირად შესაძლოა, ერთის მხრივ, სრულიად უბრალო რამ მეტად გაამწვავოს კაცი, ჩაადენინოს რაიმე დიდი დანაშაული და, მეორე მხრივ, რომელიმე დიდ ბოროტ-მოქმედებამკი ამის ნახევრადაც არ ააღელვოს. მაგალითად, ხშირადა ხდება, რომ აქაურის მკვიდრის-ქართველის პატიოსნება თუ ვინმემ შეჰბღალა, გასთელა მისი ადამიანური ღირსება, მაშინ იგი გააფთრებულ მხეცად იქცევა, არას ინდობს, მკვლელობას სჩადის. სიკვდილით დასჯასაც ისე უყურებს ჩვენი ხალხი, როგორც მის უფლებათა შემაგინებელს, შეურაცხმყოფელს და ამიტომ, რასაკვირველია, რომ ის, რომელსაც ბოროტებისაკენ მიდრეკილება უკვე აქვს, ავკაცობას ეტანება, საზოგადოებას, სახელმწიფოს მაგიერს უხდის. ყველამ კარგად ვუწყით, თუ რა გარემოებაში ხდება ხოლმე ასე გავრცელებული ჩვენში დაჭრა-მკვლელობა. ასეთ მოქმედებას ხშირად სრულიად შემთხვევითი ხასიათი აქვს, არა იშვიათად სჩადის კაცი ზნეობრივ წაუმხდარი, ყოვლად პატიოსანი. დააკვირდით, მაგალითებრ, მკვლელობა-დაჭრა-დასახიჩრებას, ჩვენ მეჯლიშ-ქორწილებსა და სხვა დღესასწაულში ჩადენილთ, და დაინახავთ, რომ აქ ზნეობრივ სიწამხდრეს ბევრჯელ ადგილი არა აქვს.

საჯაროდ სიკვდილით დასჯა ზიზღს უნერგავს ადგილობრივს მკვიდრს, იგი სცდილობს რითიმე შური იძიოს დასჯილის მაგიერ. შორს რომ არ წავიდეთ, გავიხსენოთ ის, რაც ამ ორი-სამის წლის წინად მოხდა ქუთაისში: როდესაც რამდენიმე კაცი ჩამოარჩეს ხალხის თანადასწრებით, ერთმა მაყურებელთაგანმა იმავე დღეს მოჰკლა ჯალათი. ჯალათი ხალხის თვალში მეტად საზიზღარი კაცია; ყველა ერიდება, ყველა პირს უბრუნებს, პირში აფურთხებს; ქალაქ ადგილას ცოცხალს არ გაუშვებენ, ასე რომ იძულებულია სადმე მიყრუებულ ადგილას იცხოვროს, სხვა მეტი გზა არა აქვს. ყოველი ეს ისეთი გარემოებაა, რომ დიდის ყურადღების ღირსია. თუ პატივი არ ვეცით ხალხის ასეთ აზრ-შეხედულებას, თუ კანონი მის ზნე-ჩვეულებას, ადათს არ შევუთანხმეთ, მაშინ, სიკეთის ნაკვლად, ბოროტებას დავთესავთ. თუ სიკვდილით სასჯელი ავაზაკობისათვის სამართლიანია ბოროტმოქმედის მიმართ კავკასიაში, მაშ იგივე სასჯელი რუსეთში იმისთანავე ავ-კაცობისათვის უსამართლოდ რად ითვლება?

კანონი 13 სექტემბ. 1893 წლ.

*) იხ. „ივერია“ № 16.

[1]) ზოგიერთ წვრილს სახელმწიფოებში: ტოსკანაში, სადაც პირველად 1786 წ. მოსპო ეს სასჯელი ჰერცოგ ლეოპოლდ II, გოლანდიაში, პორტუგალიაში, რუმინიაში შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში, სან-მარინოს რესპუბლიკაში და სხ.

ძრავთ. საქმე ის არის, რომ ამ დღეს დამსწრე უფრო ქართველობა იყო და სომხობა თუ იყო, იმათ ქართული უფრო ემარჯვებათ, რადგან შინაურობაში თუ ვაჭრობაში, მუდამ ქართულად ლაპარაკობენ. ხალხმა ბევრი იყვირა: ქართულად, ქართულადო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა და ბევრნი გაჯავრებით წამოდგნენ და წავიდნენ, რადგან რუსული ნაკლებ ესმით და სომხური ხომ არავინ იცის...

საკვირველია სწორედ, თუ-კი სომხურად უხსნიან, ქართულმა რაღა დაუშავა მეთაურებს, მეტადრე ისეთს ადგილას, სადაც უმეტესობა ქართველობაა?! ეს კია, ღვთის წინაშე, ხალხმა აშკარად შეამჩნია, რომ მეთაურად რამდენიმე სომხები იყვნენ და ისინი თავისუფლად დატრეშობდნენ დარბაზში... ისიც უნდა დავუმატოთ, რომ იქაურის სასწავლებლის ინსპექტორი ბ-ნი ჯავახიშვილი ქართველია და გვიკვირს, რატომ არ მიაქცია ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება. ვინ ამბობს, სომხურად-კი არა, ჩინურადაც იკითხონ, თუ აგრე სწადიანთ, მაგრამ ქართულმა რაღა დაუშავათ. პირიქით, ამ ენაზედ სომხები-კი არა, ავლაბარში რუსებიც კი ლაპარაკობენ! სასურველია, რომ შემდეგში მაინც არ დაივიწყონ ქართული, თორემ არც ისე აბუჩად აგდება ვარგა, ნეტა ვის რად უნდა, რომ ხალხი დრტვინავდეს.

⁂ გაზ. „კავკასის“ სიტყვით, კავკასიის მთავარ-მართებელმა თელავის მაზრის საბუეს სოფლის საზოგადოებას ნება დართო თავის შორის ამოირჩიოს მამასახლისი. აქამდის ამ საზოგადოებას მთავრობის მიერ დანიშნული მამასახლისი ჰყავდა, რომელსაც გარდაწყვეტილს ჯამაგირს აძლევდა.

⁂ გაზ. „Приаз. Край“-ის სიტყვით, კავკავის რკინის გზის სადგურის „დარგ-კოხის“ მახლობლად მდიდარი შავი ქვის მადნები აღმოუჩენიათ. ამ მადნების საწარმოებლად ამხანაგობა უკვე შემდგარა.

⁂ ქ. განჯა. 25 იანვარს ქ. განჯაში იმართება ჩვეულებრივი ქართული საღამო „წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ. წარმოდგენილი იქმნება „ადვოკატთან“, ვ. გუნიასი, და „ოინბაზი“ ა. ცაგარლისა. ამ საღამოსათვის მოწვეულნი არიან ნ. გაბუნია-ცაგარლისა და ბ. კავსაძე ხოროთი.

⁂ სუხუმი. 14 იანვარს, ნინობა დღეს, ადგილობრივმა საზოგადოებამ, რომელსაც აგერ 10 წელიწადია წირვა-ლოცვა დედა-ენაზედ არ მოუსმენია, სთხოვა სასულიერო მთავრობას, რომ ნება მოგვეცით ამ დღეს წირვა და პარაკლისი ქართულს ენაზედ გარდავიხადოთო, მაგრამ სუხუმელთა სამწუხაროდ ეს თხოვნა არ იქმნა შეწყნარებული. ამგვარად სუხუმმა საქართველოსათვის ღირს შესანიშნავი დღე ჯეროვნად ვერ იდღესასწაულა.

⁂ გ. ს. განძიელი ახლად-დაარსებულის „სასულიერო-განმანათლებელის ძმობის“ სამუდამო წევრად ჩაეწერა.

⁂ ამ დღეებში პოლიციამ შეიპყრო სამსონ სიმონის ძე მაღალაშვილი, რომელსაც დიდი ხანია დაეძებდა. მაღალაშვილმა პირველად კუკიის სასაფლაოს დარაჯი დასჭრა და თავს ქ. განჯაში იმალავდა. წარსულს დღესასწაულებში ჩამოვიდა ტფილისში და უბედურება დატრიალა, რომლის მსხვერპლიც ქ. ოზეროვისა და ბელოვზოროვი შეიქმნენ. ამ ამბავსაც გადარჩა და სავალა მიიმალა. 22 იანვარს ნაბადში გახვეულმა ჩამოიარა ავჭალის ქუჩაზედ, მე-9 პოლიციის მოსამსახურემ იცნო იგი და უთხრა, პოლიციაში უნდა წამოხვიდეო. მაღალაშვილმა ხანჯალი იძრო და შეუტია პოლიციელს. პოლიციელმაც ხმალი ამოიღო და მაშინ მაღალაშვილი კირკას ქუჩაზედ თავქვე დაეშვა. პოლიციელიც უკან დაედევნა. ალექსანდრეს ქუჩაზედ სხვა პოლიციელებიც დახვდნენ წინ და გაიმართა ხმალ-ხანჯლის ტრიალი. პოლიციელთ როგორც იყო შეიპყრეს 6 ადგილას დაჭრილი მაღალაშვილი.

⁂ 23 იანვარს საღამოს $6^1/_2$ საათზედ მიხეილის ქუჩაზედ როლლოვის მდგმურის ნინო მესხიევის სახლიდგან ლავრენტი არიშინმა ქალის შუბა მოიპარა, 50 მან. ღირებული. პოლიციამ დამნაშავე შეიპყრო.

⁂ 23 იანვარს, დღის 12 საათზედ, სპარსეთის ქვეშევრდომის აბრამ ასლანოვის სახლიდგან მთხოვარმა სტეფანე ბაბა-ოღლიმ მოიპარა 8 მან. ღირებული ჩონგური და 4 მან. ფულად. პოლიციამ დამნაშავე უკვე შეიპყრო.

# თეატრის მატიანე

„ადრიენა ლეკუვრერ“, დრამა 5 მოქმ. სკრიბისა და ლეგუველი.

„არც აქეთ, არც იქით“, ვოდევილი ერთ მოქმედებად.

გუშინ-წინ, 22 იანვარს, ქართულმა დრამატიულმა დასმა ქ-ნ ეფემია მესხის საბენეფისოდ წარმოადგინა პირველად ცნობილი ხუთ-მოქმედებიანი დრამა „ადრიენა ლეკუვრერ“ და ვოდევილი „არც აქეთ, არც იქით“. თვით ადრიენა ლეკუვრერის როლს თამაშობდა მობენეფისე. პიესის შესახებ არას ვიტყვით, რადგან იგი მეტად ცნობილია და არც მაგდენად რთულის შინაარსისაა, რომ ამ შინაარსის მოთხრობა ჰღირდეს. უნდა-კი ვთქვათ, რომ სწორედ თავისის ნიჭის შესაფერი პიესა ამოერჩია ქ-ნს მესხს საბენეფისოდ. მობენეფისემ ისეთის ხელოვნებითა და სავსებით დაგვიხატა სიყვარულით გატაცება ადრიენასი, რომელსაც საქსონიის გრაფი მორიცი უყვარს, ეჭვი ამ სიყვარულის გამო მეტოქის მიმართ აღძრული, თავ-დადება საყვარელ კაცისათვის, რომ სწორედ აღტაცებაში ვიყავით მოსული. ჩვენ არ გვახსოვს ამ სეზონში, რომ ასეთის ხელოვნებით ჩაეტარებინოს თავისი როლი ქ-ნს მესხს. ყოველი მისი ნაბიჯი, ყოველი სიტყვა ჰმოწმობდა, რომ იგი დაჰფიქრებოდა, დაჰკვირვებოდა თავისს როლს, როგორც ყოველთვის, და სისრულითაც შესძლო მისი აღნიშვნა. განსაკუთრებით საუცხოო იყო იგი უკანასკნელს სცენაში.

კარგი იყო ბ-ნი კოტე მესხი რეჟისორის მიშონეს როლში. ჩვენის აზრით, რეჟისორი მიშონე სწორედ ისეთი უნდა იყოს და ავტორსაც სახეში ისეთი უნდა ჰყოლოდა, როგორიც ბ-ნმა კ. მესხმა დაგვიყენა თვალწინ.

ამასვე ვერ ვიტყვით, სამწუხაროდ, პრინცესას როლის აღმასრულებელ ქ-ნს კარგარელისა და გრაფ საქსონელის როლის აღმასრულებელ ბ-ნ სვიმონიძის შესახებ. სიძულილი და გაბოროტება არ ეტყობოდა ქ-ნს კარგარელს, თუმცა იგი მხოლოდ ამ ორის გრძნობით უნდა იყოს განმსჭვალული ადრიენას მიმართ, და ბ-ნი სიმონიძეკი საერთოდ სუსტად თამაშობდა. სულ ეს ოთხი როლია ამ პიესაში ცოტად თუ ბევრად თვალ-საჩინო.

რაც შეეხება ვოდევილს „არც აქეთ, არც იქით“, სამწუხაროდ, ამ მართლა სასაცილო ვოდევილმა ისე ვერ დაგვატკბო, როგორც მოლოდინი გვქონდა. ამისი მიზეზი იყო ბ-ნის აბაშიძის მეტად გადაჭარბებული და გადამახინჯებული თამაშობა. ეს ნიჭიერი არტისტი ჩვენის სცენისა ყოველთვის მშვენივრად თამაშობს ტარასის როლს და ამ ხელად-კი იგი ისე გადაამლაშა და გადაამწარა, რომ სწორედ თვალს ეზარებოდა და გულსა სწყინდა მისი ცქერა.

წარმოდგენას საზოგადოება მრავლად დაესწრო. მობენეფისეს დიდის ამბით მიეგებნენ და რამდენიმე ძვირფასი საჩუქარი მიართვეს.

კალმოსანი

## წერილი დუშეთიდგან

თუმცა ჩვენსკენ ისეთი დიდი თოვლი არ არის, როგორც ამას სხვა ადგილებიდგან უჩივიან, მაგრამ ამინდი-კი ერთობ ცუდი და სულის შემხუთველია: ქარ-ბუქმა და სიცივემ თავი მოგვაბეზრა და ძალა წაგვართვა. ოთხ იანვრიდგან მოკიდებული ოცამდის თითქმის სულ განუწყვეტლივ ქარი და ბუქია.

სამხედრო-საქართველოს გზა, რომელზედაც ყოველ დროს მრავალი მგზავრი დადის და ამავე გზით მოაქვს რუსეთის ფოსტაც, მთაშიაც ძ ბარშიაც, ხშირადაა შეკრული ზვავებითა და ნაბუქრით. თვით დუშეთის ახლო-მახლო, სოფელ ბაზალეთთან ეგრედ წოდებულ კანჭის ქედზედ და დუშეთს ზევით ქერანის ქედზედ გზა ნაბუქარით არის ავსებული, მგზავრს ამ ნაბუქრებისგან თავი ვერ დაუღწევია, ბევრს ადგილს მინდორზედ-და უხვევს და ისე აღწევს თავს მგზავრი ამ გაუვალ ნაბუქრების გორებს, თითქმის ყოველ დღე რამდენიმე მგზავრი საუთოოდ გადურჩება ხოლმე გზაში დარჩენასა და სიცივისგან სიკვდილს, ხოლო ერთი მეეტლე კიდეც იმსხვერპლა. ეს საბრალო საღამოს დაბრუნებულიყო წილკნის სადგურიდგან დუშეთის სადგურისკენ. როდესაც კანჭის ქედზედ მოსულიყო გზა არეოდა და მეორე დღეს სიცივისგან გაფიჩხებული იპოვეს. რადგან ღამე არ გაირჩევა სად გზაა და სად მინდორი, ბევრს მგზავრს გზა ერევა და საფრთხეში ვარდება. წინად ამისთანა ამინდში მუშებს გამოიყვანდნენ ხოლმე, ისინი დროზედ სწმენდნენ გზასაცა და ჰშველოდნენ გაჭირვებულს მგზავრსაც, ეხლა-კი მუშების დაქირავებას და გზის დროზედ გაწმენდას როგორღაც ვერა ბეჯითობენ. გზაზედ რომ საკმარისი რიცხვი იყოს მუშებისა, მგზავრს ცოტაც არის შველავდნენ მისცემდნენ. და შემწეობას აღმოუჩენდნენ.

ეხლა უფრო ცხადზედ უცხადესია, რამდენად საჭიროა და სასარგებლო მთავრობისაგან განზრახული და დაწყობილი გადატანა ამ გზისა არაგვის ხეობაზედ და აშორება ქერანისა და კანჭის ქედებისა, სადაც თითქმის ყოველ ზამთარს ხდება ამისთანა ამბავი და ვარდება მგზავრი საფრთხეში ქარ-ბუქიანის ამინდის დროს, რომელსაც აქაური ოხუნჯები, არ ვიცი რად, საინჟინერო ამინდს ეძახიან.

მართალია, დუშელები დიდის გულმოდგინებითა შუამდგომლობენ ძ ემუდარებიან მთავრობას, რომ ეს გზა ძველ ალაგას იქმნეს დატოვებული ძ არაგვის

---

არც სხვაფრივ არის მოსაწონი. იგი არჩევს კავკასიის მცხოვრებელთა შორის მკვიდრთა და არა-მკვიდრთ, რომელნიც ერთ-გვარის დანაშაულობისათვის სხვა-და-სხვა კანონითა და სხვა-და-სხვა სასამართლოში უნდა იქმნენ განსამართლებულნი: მაშინ, როდესაც პირველნი სამხედრო კანონებს ექვემდებარებიან, მეორენი განთავისუფლებულნი არიან იმათის მოქმედებისაგან. თუ მაინც-და-მაინც საერთო კანონმდებლობასთან, რომელიც ჰმოქმედებს მთელს სახელმწიფოში, განსაკუთრებული, სპეციალური, საგანგებო კანონები იყო საჭირო კავკასიის მხრისათვის, თვით ამ უკანასკნელის საზღვრებში-კი ესეთი დანაწილება მცხოვრებელთა რისი მაქნისია, ან რა მოსაზრებით არის გამოწვეული? აქ ხომ ირღვევა ერთი დიდებულ დედა აზრთაგანი ყოველ წესიერ კანონ-მდებლობისა — თანასწორობა ყოველთა კანონის წინაშე! საზოგადოდ, თუ ხშირად ჰხდება, რომ სახელმწიფოში გამოცალკევებულია რომელიმე მისი ნაწილი კანონების დაქვემდებარების მხრივ, ისკი იშვიათია და მეტია, რომ ამ ნაწილის საზღვართა შორის მყოფთათვის განსხვავება იყოს რამე. ეს ისეთივე შეცდომაა, როგორც წოდებათა გარჩევა სასჯელთა დადების მხრივ. მართლაც-და, რა განსხვავება უნდა იყოს იმ კაცსა, რომელიც ჩვენში დაბადებულა, აღზრდილა, და სხვა ადგილიდგან ჩამოსულ შორის, თუ მათ მიერ ერთგვარი დანაშაულია ჩადენილი? განა ისინი ამ შემთხვევაში ერთნაირად საშიშნი არ არიან საზოგადოებისათვის? განა ორთავემ განურჩევლად არ დაარღვიეს საზოგადო მშვიდობიანობა? რით ავხსნათ, რომ თუ ქართველმა ჩაიდინა წინად განზრახული მკვლელობა, იგი ჩამორჩობილ უნდა იქმნას, და თუ სხვამ, არა მკვიდრმა, უცხო ტომის კაცმა, — იმას მხოლოდ რამდენისამე წლის კატორგაში გაგზავნა ეყოფა, ან შეიძლება ციმბირში გარდასახლებასაც დავჯერდეთ? სწორედ არ გვესმის ასეთი უპირატესობა ერთისა მეორის წინაშე! თუ მაინც-და-მაინც რაიმე გარჩევა არის საჭირო, იგი, თუ მართალს მკითხავთ, პირველის, ესე იგი მკვიდრის სასარგებლოდ უნდა იყოს: კანონი ადგილობრივ მცხოვრებს, როგორც განუვითარებელს, უფრო ლმობიერად, უფრო დაყვავებით უნდა ეპყრობოდეს, ვიდრე უცხოს, უფრო გონებით განვითარებულს, ვინაიდგან ვისაც მეტი აქვს მიცემული, მას მეტიც მოეთხოვების. ამას არც კანონი უარ-ყოფს. რუსულის კანონებით, განათლება ერთ იმ გარემოებათაგანს შეადგენს, რომელიც სასჯელს ჰმატებს დამნაშავეს.

ხალხის ზნეობა ბევრნაირ მიზეზისაგან არის დამოკიდებული: იმისთანა სოციალურ გარემოებათ, როგორც ეკონომიური მდგომარეობა, სწავლა-განათლების დონე, ზოგიერთს ბიოლოგიურ ფაქტორს, როგორც რასა, ეროვნება, გარდა ამისა გეოგრაფიულ მდებარეობას, ჰავას, ტემპერატურს და სხ. და სხ., — ყოველ ამას დიდი გავლენა აქვს დანაშაულობათა მეტ-ნაკლებობაზედ. მაგალითად, შენიშნულია, რომ, თუ ხალხი ქონებრივად დაქვეითებულია სხვა-და-სხვა დანაშაულობაც, ნამეტნავად სიცოცხლისა და საკუთრების წინააღმდეგ, ძლიერ გავრცელებულია. საკმარისია ხშირად ერთი მოუსავლობა, პურის სიძვირე, რომ ამ გარემოებამ თავისი დაღი დაასვას ხალხის ზნეობას. ამ დროს სხვათა შორის ჰმატულობს ლოთობა, რომელიც ბევრნაირ ბოროტმოქმედებას ჩაადენინებს ხოლმე ადამიანს. უახლოებლესს მაგალითს რუსეთი წარმოადგენს, სადაც უკანასკნელის დიდის შიმშილის დროს ერთობ იმატა დამნაშავეთა რიცხვმა. იმავე მოვლენას ვხედავთ ინდოეთში, სადაც შარშანდელის შიმშილის წყალობით ავაზაკობა, კაცის-მკვლელობა მეტად გამრავლებულა. ირლანდიაში, სადაც დიდი სიღარიბეა სამამულო წესების წყალობით, მკვლელობა ძლიერ ხშირია. ხოლო თუ შიმშილი ხანგრძლივია, მაშინ ხომ მიდრეკილობა დანაშაულის მიმართ გადადის შთამომავლობაზედაც და იქ უფრო მეტის ძალით იჩენს თავს. შემჩნეულია აგრეთვე, რომ სამხრეთის მცხოვრებელთა შორის უფრო ხშირია დანაშაულობანი პიროვნების წინააღმდეგ, ვიდრე ჩრდილოეთში, სადაც ამის მაგიერ სჭარბობს დანაშაულობანი საკუთრება-ქონების წინააღმდეგ. დასავლეთ ევროპაში იმდენი კაცის მკვლელნი და ავაზაკები არსად არ არიან, რამდენიც იტალიაშია, და პირ-იქით, ქურდობა უუმეტეს ხარისხამდე ასულია გერმანიაში. მაგალითად, 1883 წელს ინგლისში 100,000 მცხოვრებელზედ კაცის მკვლელთა რიცხვი შეადგენდა $0,_{58}$, საფრანგეთში — $1,_{47}$, იტალიაში-კი — $9,_{86}$, ესე იგი ათჯერ მეტს, ვიდრე ინგლისში [1]). თუ ეს გარემოებანი მივიღეთ ტხედველობაში, საკვირველი აღარ უნდა იყოს ის ამბავი, რომ კავკასიაში უფრო მეტია ავაზაკობა-მკვლელობათა რიცხვი, ვიდრე რუსეთში. დაქვეითებული ეკონომიური მდგომარეობა მთიელებისა, ოსებისა, თათრებისა, რომელთა შორის ყველაზედ მეტია მკვლელი და ავაზაკი, და ქართველი ერისა, ხომ ერთი და ამასთანავე მთავარი მიზეზია დანაშაულობათა გავრცელებისა ჩვენში! ნუ თუ ყოველი ეს არ გვეუბნება, რომ ამ ჟამად ჩვენს მხარეში არა ჩვეულებრივი არა ხდება-რა? საიმისო აქ არაფერია, რომ მისს განსაკუთრებულ მდგომარეობას რაიმე გონიერი საფუძველი მოენახოს. მაშ მთავრობამ, ყოველ ამის კარგად მცოდნემ, რაღად დაინახა საჭიროდ შემოეღო ჩვენში საგანგებო კანონი, რომელსაც ბევრი ცუდი შედეგი მოსდევს? როგორც ბევრ სხვა, ისე ამ მხრივ კავკასიის განკერძოება დანარჩენ რუსეთისაგან ზიანის მეტს არას მოუტანს ჭეშმარიტად გაგებულს სახელმწიფო ინტერესებს.

---

[1]) იხ. წერილი პორტუგალოვისა: „დამნაშავის ბიოლოგია“, ჟურნალ „Научное Обозр.“-ში, № 18, 1894 წ.

ხეობაზედ არ გადაიტანონ, მაგრამ გამოტეხით უნდა ვთქვა დუშელების სამწუხაროდ, რომ თუ ეს გზა მგზავრებისათვის უნდათ და არა დუშელებისათვის, ისიც ორიოდე პოლოსასი და ორიოდე კარაპეტას ჯიბის გასასქელებლად, მაშინ ამ გზის არაგვის ხეობაზედ გადატანა არამც თუ სასარგებლოა, აუცილებლად საჭიროცაა, როგორც მგზავრებისთვის, ისეც თვით ხაზინისთვისაც, რადგან არაგვის ხეობაზედ მგზავრს ისეთი დაბრკოლება არსად მოელის და არც ისეთი საფრთხე, როგორსაც წარმოადგენს ცუდის ამინდის დროს კანჭის ქედი და ქერანა. ამას გარდა, გზა ერთის სადგურით მოკლდება. ამისი ხარჯი მგზავრსაც ჯიბეში რჩება და ხაზინასაც ხომ 40 ათას მანეთამდე უზის თითო სადგურის შენახვა და ეს ფული, თუ გზა ერთის სადგურით შემცირებული იქმნა, და იზოგება, მაგრამ მაგარი ესაა, რომ გზის მკეთებელ ინჟენერებმა არაგვის ხეობაზედ გასაყვან გზასაც ისეთი ალაგი აურჩიეს, რომ გზას იმათი საკბილო ხინჯი იქაც შერჩენიყო; გზის გასაყვანად იმათ ამჯობინეს არაგვის მარჯვენა მხარე, ანანურსა და ქინვანს შუა, და ბოდორნის ძირი, ისეთი ალაგები, სადაც გზას ქვევიდგან არაგვი უთხრის ძირსა, ხოლო ზევიდგან აზვავებული და დაძრული მიწა აწვება და ავსებს; ამის გამო იქაც ყოველთვის მუშა და გზის შეკეთება იქნება საჭირო, ხოლო რამდენად ცუდსა და შეუფერებელ ნიადაგზედ გაჰყავს ეს ახალი გზა, სხვათა შორის, იქიდგანაცა სჩანს, რომ მისი მკეთებელი ათამდე მუშა ამ ოთხის წლის წინად გზის ზევიდგან ჩამოწოლილმა მიწის ზვავმა დაიტანა და იმსხვერპლა...

არაგვის მარცხენა მხარეზედ რომ გაეყვანათ ეს გზა, გაცილებით უმჯობესი და საადვილო იქნებოდა, რადგან გზა ისეთს ნამზღვლევიანსა, უხერხო და საშიშ ალაგებს, როგორიც ბოდორნის ძირია და ქინვანის მთის ის ნაწილი, სადაც გზა გაჰყავთ, ასცდებოდა. არაგვის მარცხენა მხარეზედ-კი ნიადაგი მაგარია, ვაკე ადგილ-მდებარეობა გზის გაყვანას ძალიან ხელს უწყობს. იქ გაყვანილს გზას ვერც არაგვი დახრამავს და ვერც მიწის ზვავი დაიტანს. არაგვის მარცხენა ნაპირზე გზის გაყვანის საქმის სიადვილეს ის გარემოება უფრო აორკეცებდა, რომ ბულაჩაურიდგან ქინვანამდე გზის ლიანდაგი წინადვე გაყვანილი იყო, მცირე შეკეთება-შესწორებისა და ქვიშის დაყრის მეტი იმისთვის დღესაც არაფერია საჭირო.

მხოლოდ ერთ დაბრკოლებად ამ შემთხვევაში იმასა სთვლიდნენ, რომ თუ გზა არაგვის მარჯვენა ნაპირზედ გაიყვანეს, მაშინ ანანურიდგან ბულაჩაურამდე სამის ხიდის გაკეთება მოუნდება მდ. არაგვზეო, მაგრამ ეს ვითომ და დამაბრკოლებელი მიზეზი მიზეზად აღარ ჩაითვილება, თუ სახეში ვიქონიებთ, რომ არაგვის მარჯვენა ნაპირზედ, სადაც ეხლა გაჰყავთ გზა, აგრეთვე საჭიროა სხვა-და-სხვა ხევსა და ღელეზედ ოცამდი ხიდი და ეს ოცი ხიდი-კი, თვით მცოდნე კაცებისავე გამოანგარიშებით, უფრო მეტად დაჯდება, ვიდრე სამი დიდი ხიდი მდ. არაგვზედ. ეს სამი ხიდი თითონ ადგილობრივ მცხოვრებთ რამდენს სარგებლობასაც მოუტანს, ესეც ხომ ანგარიშში ჩასაგდებია, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ წყალდიდობის დროს არაგვის ორივე მხარეს მცხოვრებლები უხიდობისაგან ძალიან გაჭირვებულები არიან.

როგორც ამბობენ, თითონ ამ გზის სამუშაოთა უფროსს უვარგისად უცვნია ის ადგილები, რომელზედაც ეხლა გზა გაჰყავთ, და შუამდგომლობა აღუძრავს სადაც ჯერ არს, რომ გზის მიმართულება შეიცვალოს და იგი გაყვანილ იქმნას არაგვის მარცხენა ნაპირზედ. სასურველია, თუ ეს უეჭველი შეცდომა გზის მკეთებლებისა სამუდამო შეცდომად არ დარჩება და ეხლა მაინც გასწორდება; ამ შემთხვევაში სანანური მხოლოდ გზის ლიანდაგის გაყვანისათვის დახარჯულის ხალხის შრომის ცუდუბრალოდ დაკარგვა-ღა იქნება, რომლითაც არამც თუ ეს გზა, თვით მისრეთის პირამიდებიც-კი აშენდებოდა, ამ საქმეში მუშების ხელმძღვანელ ოსტატებს ცოტაც არის რომ წინდახედულობა და ხერხი გამოეჩინა და მუშაობის დაწყებამდისვე გზის გასაყვანად უფრო კარგი და შესაფერი ადგილი ამოერჩია.

გარეშე მაყურებელი

## რუსეთი

ფინანსთა სამინისტროსა და მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს წინაშე ქ. ოდესსის მეურნეთ შუამდგომლობა დაუწყიათ, რომ კარგი იქმნება საზღვარგარეთიდგან შემოტანილ მწვანილეულობას რაიმე გარდასახადი დაედოსო.

— ფინანსთა სამინისტრო პარიჟის 1900 წ. გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად ხაზინიდგან 400,000 მან. თხოულობს.

— უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში ტყეების შემოსავალმა 15 მილ. მანეთით იმატა, ასე რომ ამ ჟამად სახელმწიფოს ტყეებიდგან 30 მილ. მანეთზედ მეტი შემოსავალი ექმნება თურმე.

— ამ ჟამად შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე შუამდგომლობენ თურმე პეტერბურგში კერძო საკრედიტო საზოგადოების დაარსების შესახებ. საზოგადოებამ სესხი უნდა აძლიოს ქალაქებსა და ერობათ და ძირითად თანხად $7^1/_2$ მილ. მანეთი ექმნება. საზოგადოება პროვინციაშიაც იყოლიებს თავისს აგენტებს.

— საერო განათლების სამინისტრომ ამ დღეებში განმარტა, რომ ისინი, რომელნიც მე-2 ხარისხის თავისუფალ ჯარის-კაცად მოინდომებენ შესვლას, არ უნდა გამოიცადნონ ხელ ახლად ისტორიის ცოდნის მხრივ, თუ გიმნაზიისა, ექვსს კლასიან პროგიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლების საპედაგოგიო საბჭოსაგან მიცემული მოწმობა ექმნებათ, რომ ეს საგანი ჯეროვანად აქვთ შესწავლილი.

— უწმიდესმა სინოდმა ამ დღეებში დაჰგზავნა იმ სახელმძღვანელოების სია, რომლებიც უნდა იხმარონ მეორე-კლასიან სამრევლო სასწავლებლებში. ამ სიიდგან სახელმძღვანელოების ამორჩევა მინდობილი აქვს საეპარქიო სამოსწავლო საბჭოებს.

— მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული რამდენისამე სასწავლებლის დაარსების შესახებ, ფეიქარ-ინსტრუქტორების მოსამზადებლად.

— 15 იანვარს პეტერბურგის სულით ავადმყოფთა საავადმყოფოში გარდაიცვალა არტისტი მ. ტ. ივანოვ კოზელსკი, რომელიც მშვენივრად ასრულებდა დრამატიულ როლებს. განსვენებულს სხვათა შორის, ტფილისის სცენაზედაც უთამაშნია და დაუტკბია აქაური საზოგადოება თავისის ხელოვნურის თამაშობით.

## უცხოეთი

**გერმანია.** საბიუჯეტო კომისიის კრებაზედ რეიხსტაგში გარეშე საქმეთა სამინისტროს სტატს-სეკრეტარმა ფონ-ბიულოვმა წარმოსთქვა სიტყვა გერმანიის იმპერიის გარეშე საქმეთა შესახებ. უპირველეს ყოვლისა თავისს სიტყვაში ფონ ბიულოვი საბერძნეთის ფინანსთა მდგომარეობას შეეხო. სტატს-სეკრეტარმა სთქვა, რომ ევროპის სახელმწიფოების წარმომადგენელთა მიერ შედგენილი კანონ პროექტი საბერძნეთის ფინანსების კონტროლის შესახებ უკვე გადაეცა განსახილველად სახელმწიფოთა კაბინეტებს და საბერძნეთის მთავრობასაო. თუმცა ეს პროექტი ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა, მაგრამ გაზეთებმაც უკვე გამოაქვეყნეს იგი და ეხლა თითქმის ყველამ უწყის იმის შინაარსიო. გერმანიის მთავრობამ ყოველი ღონე იღონა, რომ იმის კრედიტორები დაკმაყოფილებულ იქმნენ. ხოლო რაც შეეხება თვით საბერძნეთს, იმის მომავალი ფინანსების გაუმჯობესობაზედ არის დამოკიდებული; საბერძნეთის მთავრობამ მთელი თვისი ყურადღება ამ მხარეს უნდა მიაქციოს; ევროპის სახელმწიფოთაც, როდესაც საბერძნეთის ფინანსების კონტროლზედ დაიწყეს ლაპარაკი, აზრად მხოლოდ ამ ფინანსების გაუმჯობესობა ჰქონდათ, ამიტომ საბერძნეთი მოხარული უნდა იყოს ამას და თვით უნდა შეუწყოს ხელი ევროპის სახელმწიფოთ ამ საქმეშიო. შემდეგ ფონ-ბიულოვი კრიტის საქმეს შეეხო. ერთად-ერთი ჩვენი სურვილი ის იყო, რომ კრიტის საქმის გამო ევროპის სახელმწიფოთა შორის უთანხმოება და ჩხუბი არ ატეხილიყოო. ჩინეთში მომხდარ ამბების შესახებ ბიულოვმა განაცხადა, რომ ჩინეთმა ყოველი ჩვენი სურვილი და მოთხოვნილება აღასრულაო. მთავრობა შემდეგშიაც იმავე პოლიტიკას დაადგება ჩინეთის საქმეებში, რომელსაც აქამდის ადგაო. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, ამ ჟამად ჩვენ ყველასთან კარგ განწყობილებაში ვართ. ბევრს ეგონა, რომ კიაო-ჩაუს დაჭერით, ჩვენ ინგლის, საფრანგეთს და რუსეთს გადავემტერებოდითო, მაგრამ ეს მოლოდინი არ გამართლდა და არც უნდა გამართლებულიყო, რადგან ჩვენ ამ სახელმწიფოთა ინტერესებს სრულებით არ შევეხებივართ და არც შემდეგში შევეხებითო.

**ბელგია.** ამ ბოლოს დროს სწორედ სენად გარდაიქცა პარლამენტში ჩხუბი და აურ-ზაური. მკითხველებმა უკვე იციან, რომ ამით ავსტრიისა და საფრანგეთის პარლამენტებმა თავი ისახელეს. ეხლა, როგორც გაზეთი „Daily Nevs“-ის იუწყება, მათის მაგალითისათვის ბელგიის პარლამენტს მიუბაძავს. ერთ-ერთს უკანასკნელს კრებაზედ, სწერს გაზეთი, თავმჯდომარემ დეპუტატს სოციალისტს დამბლუს აღუკრძალა პარლამენტის რამდენიმე კრებაზედ დასწრება. ამის მიუხედავად დამბლუმ მაინც მოიწადინა პარლამენტში შესვლა და კრებაზედ დასწრება. რადგანაც დამბლუს განზრახვა წინადვე შეიტყეს, პარლამენტის გარეშემო პოლიციელები დააყენეს, ხოლო თვით პარლამენტში—ჯარის-კაცები. მეორე დღეს დამბლუ თავისის დასის წევრებთან ერთად პარლამენტის კარებს მიადგა. თუმცა ჯარის კაცებმა და წევრებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ დასის რამდენმამე წევრმა მაინც მოახერხა დარ-

---

საჭიროა, მაშასადამე, დანაშაულობათა გავრცელების ძირითადი მიზეზების მოსპობა და ამასთანავე ისიც, რომ მეტი ყურადღება მიექცეს გამაფრთხილებელ ღონის ძიებათ пред-дупред. мѣры). საჭიროა ამიტომ ჩვენში ავაზაკობათა აღმოსაფხვრელად ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესება, კულტურული პროგრესსი სავალდებულო და უფასო პირველ-დაწყებით სწავლა-განათლების გავრცელებით, მართლ-მსაჯულების იმ გარემოებაში ჩაყენება, როგორც ეს რუსეთის იმ გუბერნიებშია, სადაც იმპერატორის ალექსანდრე II „სასამართლო წესდებანი“ სავსებით არის შემოღებული, უტყუარი სტატისტიკური გამოკვლევანი, რომელიც დაგვანახვებს მიზეზ-შედეგს რომელისამე საზოგადო მოვლენისას და სხ., თორემ პალიატივები, ადმინისტრატიული და საკანონ-მდებლო განკარგულებათა სახით, ასე გავრცელებულ სენს არა თუ ვერ მოსპობს, ვერც-კი შეამცირებს მცირედაც არის მაინც შესამჩნევად.

თუ ჩვენ ამ წერილით სიტყვა ჩამოვაგდეთ ახალ კანონ-დებულების შესახებ არა იმიტომ, რომ ამითი იმისი თქმა გვინდოდეს, გააუქმეთ ეს კანონი და გორდიის ნასკვი თავის თავად გაიხსნებაო—ძარცვა მკვლელობა—მკვლელობა-ავაზაკობანი ერთიანად აღმოიკვეთებაო. არა, კარგად ვუწყით, რომ დანაშაულთა რიცხვი, დამოკიდებულია სოციალურ მიზეზთაგან და ამა თუ იმ გვარ კანონდებულებას ხშირად უკანასკნელი ადგილი უჭირავს. ხოლო ისიც ვიცით, რომ თუ რომელისამე ქვეყნის მოთხოვნილებებთან შეფერებულ-შეთანხმებულ კანონებს არ ძალ-უძს დაავადებულ წყლულს მალამო დასდოს, განათავისუფლოს იმ სენისაგან ქვეყანა, რომლის წინააღმდეგ საბრძოლველადაც ეს კანონებია გამოცემული, სამაგიეროდ ცუდ, შეუფერებელ კანონებს ბევრი რამ ზიანი მოსდევს და შეიძლება ისიც მოხდეს, რომ უფროც შეუწყოს ხელი იმას, რის ამოკვეთასაც იგი ჰლამის. აი, ასეთი მნიშვნელობა აქვს კანონ-დებულებას.

ოდესღაც ჰფიქრობდნენ, და ზოგს ეხლაც ჰგონია, რომ მკაცრ, შეუბრალებელ სასჯელთა წყალობით, სხვა-და-სხვა გვარად სიცოცხლის მოსპობით (მაგალითებრ, ჩამორჩობით, დახვრეტით, თავის მოკვეთით), ნელის აუტანელის ფიზიკურის ტანჯვა-წვალებით და სხ. განეთავისუფლებინათ საზოგადოებანი ბოროტ, მავნე არსებათაგან ანუ, სხვანაირად რომ ვსთქვათ, მოეხდინათ „ხელოვნური შერჩევა“ და, ამ სახით, დაემყარებინათ მათ შორის მშვიდობა და სათნოება. მაგრამ ეს იმედი გაუცრუვდათ მტარვალობის ქომაგთ. მრავალ საუკუნეთა გამოცდილებამ, როგორც ამას ზემოდ ვცდილობდით დაგვემტკიცებინა, დაარწმუნა კაცობრიობა ამ ღონის ძიებათა უვარგისობასა, ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, მავნებლობაში.

დაუბრუნებლად წავიდა ის დრო, როდესაც ერთის ხელის მოქნევით იმედი ჰქონდათ ყოველი ბოროტება აელაგმათ, როდესაც დამნაშავეს სთვლიდნენ უსულდგმულო რამ არსებად, ნივთად, ძველის რომის მონების მსგავსად (servi isunt res), სადაც ბატონს—ოჯახის უფროსს განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა იმათის სიკვდილ-სიცოცხლისა (ius vitae ac necis). დღეს დამნაშავე ადამიანია, სხვათა სწორი, რომელიც ღმერთმა შეჰქმნა თვის მსგავსად, და ისეთივე უფლებანით აღჭურვილი, როგორც ყოველი სხვა სიკვდილის შვილი ამ ჩვენ წუთის-სოფელში. დღეს იგი უმეტეს ნაწილად უფრო სიბრალულს იწვევს, ვიდრე სიძულილს, ვინაიდგან მეტი ნაწილი მისის ბრალისა ედება იმ წრეს, რომელშიაც დამნაშავე არსება სცხოვრობდა, იმ გარემოცულ ვითარებას, რომელთაც იგი ბოროტებისაკენ მიჰყავთ. სოციალური ცუდი წეს-წყობილება—აი წყარო ყოველ გვარ უფლებათა დარღვევისა. სწავლა წრის გავლენის შესახებ, აღნიშნულ-აღიარებული თავ-დაპირველად გამოჩენილ კეტლეს მიერ, ეხლა მთელის ევროპის უკეთესს მოაზრეთა და მწერალთა მიერ არის თანაზიარებული და უცილობელ ჭეშმარიტებად მიჩნეულია. ან რა ზნეობრივი უფლება გვაქვს მოვუსპოთ სიცოცხლე ადამიანს, ვინც უნდა იყოს იგი, თუნდაც „კანონის ძალით“ [3])? ბეკკარია, ეს შესანიშნავი კაცი მე-18 საუკუნის მეორე ნახევრისა, ამბობს: „სიკვდილით დასჯა უფლება-კი არ არის, არამედ ომი ერისა იმ მოქალაქის წინააღმდეგ, რომლის არსებობის მოსპობას იგი საჭიროდ და სასარგებლოდა სთვლის. იგი წინააღმდეგობაა და უაზრობა იმ მხრივ, რომ ის კანონი, რომელნიც მოქალაქეთ მკვლელობას უკრძალავს, თვით ჰქადაგებს საჯარო მკვლელობას“.

აი რა დასკვნამდე მივყევართ სხვა-და-სხვა სასტიკს სასჯელს და მათ შორის სიკვდილით დასჯას! რაც იაფია ხოლმე და ადვილად შესასრულებელი, ხშირად უსარგებლოც არის. ჩამორჩობაც, თავის მოკვეთაც ადვილი საქმეა, ხოლო ამასთანავე იგი ჩვენ დროში ისევე დასაგმობია, როგორც ყოველი უზნეო საქციელი, ისევე შეუწყნარებელია, როგორც ყოველი დანაშაული, ისევე უსამართლოა, როგორც ყოველი კანონიერი უკანონობა...

გრ. გველესიანი

[3]) მხედველობაში არა გვაქვს, რასაკვირველია, ის შემთხვევანი, როდესაც კერძო კაცს მოკვლის ნება ეძლევა ზოგიერთ შემთხვევაში (ასეთია მაგალითებრ, ეგრედ-წოდებული საჭიროების დროს თავის დაცვა).

ბაზში შესვლა, ხოლო დანარჩენთ ნხუბი აუტეხეს ჟანდარის-კაცებს. მალე ამ უკანასკნელთ კონსერვატორთა დასის დეპუტატები მიეშველნენ და მუშტები დაუშინეს დამბლუს მომხრეებს. არც დამბლუს მომხრეები ჩამორჩნენ და ჟოხებსა და ქვებს მიჰყვეს ხელი. სცენამ 15 წუთი გასტანა. ბოლოს ჟანდარის-კაცებმა და პოლიციამ დიდის ვაი ვაგლახის შემდეგ გაჰფანტეს დამბლუს მომხრეები და თვით დამბლუც გააგდესო.

—

**ოსმალეთი და კრიტი.** გაზ. „Wiener Allgemeine Zeitung“-ი სწერს: „სულთანი უწინდელებრ წინააღმდეგია, რომ კრიტის „გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის პრინცი გიორგი იქმნას დანიშნული. სულთანს უმთავრესად იმისი ეშინიან, რომ კრიტი საბერძნეთს არ შეუერთდეს. ოსმალეთი იმ შემთხვევაში იქმნება თანახმა კრიტი საბერძნეთს გადაეცეს, თუ თესალიის ნაწილს იმას დაუთმობენ. ოსმალეთის მთავრობას აზრადა აქვს თუ ეს განზრახვა სისრულეში მოიყვანა, კრიტის მაჰმადიანები თესალიაში გადაასახლოსო.

## სასამართლოს მატიანე

ნოტარიუსის გრიელსკისა და თავ. ლორთქიფანიძის საქმე.

ქ. ბათუმის უმცროსი ნოტარიუსი ვ. გრიელსკი სისხლის სამართალში იყო მიცემული და საქმეს იძიებდა ბათუმის გამომძიებელი თავ. ლორთქიფანიძე. გრიელსკიმ ქუთაისის ოლქის სასამართლოს მიართვა თავ. ლორთქიფანიძეზედ საჩივარი, რომელიც 7 აპრილს 1897 წელს განიხილა ტფილისის სამოსამართლო პალატამ.

„სამოსამართლო პალატამ განიხილა რა ეს საჩივარი, ზოგიერთი ადგილები შეუფერებლად სცნო, რადგანაც ბ-ნი გრიელსკი გამომძიებელს ეხებოდა და შეურაცხჰყოფდა. მაგალითად, ბ-ნი გრიელსკი ერთს ადგილას ამბობს: „თავადი ლორთქიფანიძე სინიდისიერად და კანონით არ მოიქცა, რომ 8 სექტემბერს, რა თარიღითაც ოქმებია აღნიშნული, იმას გამოძიება არ მოუხდენია, ხოლო ეს ოქმები იმიტომ შეადგინა, რომ გამოძიების მასალა შეევსო“ და სხვ. ამის გამო გრიელსკი სამართალში იქმნა მიცემული სასჯელთა დებულების მე 283 მუხლის ძალით.

ქუთაისის ოლქის სასამართლომ, განიხილა რა ეს საქმე 15 იანვარს, დამნაშავედ სცნო გრიელსკი და მიუსაჯა 200 მან. ჯარიმის გადახდა.

## ა ნ გ ა რ ი შ ი

თელავის საზოგადო წიგნთ-საცავისა 1897 წლისა.

**შემოსავალი:**

რიცხვი წევრებისა, რომელთაც შემოიტანეს 1 მან. მეტი 1, 2 მან., წლიურნი წევრნი 82 (თითო მან.) 82 მ., თვიურნი წევრნი 217 (სამ-სამი შაური) 32 მ. 55 კ., დახმარება ადგილობრივ კლუბიდგან 50 მ., სალამოებიდგან, ბალებიდგან და კონცერტებიდგან 59 მ. 5 კ., რიცხვი დაჯარიმებულთა 1; გარდახდევინებული ფული 2 მან. 40 კ., გაყიდულ ძველის გაზეთებიდგანა და ჟურნალებიდგან 9 მ. 44 კ. სულ 238 მ. 59 კაპ.

**დანახარჯი:**

დრო-გამოშვებითი გამოცემანი 73 მან. 88 კ., ყდა 160 წიგნისა 19 მ. 99 კ., ოთახის ქირა 48 მან., მეთვალყურე 36 მან., წარსულის წლის დანაკლისის შესავსებლად 20 მან., განათება 17 მან. 12 კაპ., გათბობა, საკატალოგო, გასატან წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების ჩასაწერი დავთრები, ქაღალდი, კალამ-საწერი და სხვა წვრილი დანახარჯი 6 მან. 54 კაპ. სულ 221 მან. 68 კაპ.

1897 წელს პირველ იანვრისათვის რჩება ნაღდად 16 მან. 91 კაპ., წიგნთ-საცავს ჰმართებს ი. ნ. ოჰანეზოვისა ოთახის ქირა 1896 წლისა 20 მან. და მ. დ. ცისკარაშვილისა წიგნების ფასი 5 მან.

საანგარიშო წელს შემოსწირეს შემდეგი წიგნები: ა. აბრამოვმა 1, „Безъ догмата“, რომანი გ. სენკევიჩისა, 2, „Современная Любовь“, რომანი დ. ლეზიუერისა, 3, „Закулисныя тайны“, ა. მოროზოვისა. ნ. ბერეჟიანმა 1, „მაცი-ხვიტია“, რომანი ა. ფურცელაძისა, 2, „როგორა ცხოვრობდნენ ადამიანები ძველად“, თარგ. ი. ს. კვიცარიძისა. გ. ბუჩუკულაძემ „წმიდა ნინოს ცხოვრება“, მღვდ. ელიოზიძისა. მ. კიკნაძემ „საქართველოს მეფე და ორი გლახა“, ზ. ჭ. ნ. მაჭავარიანმა 1, „თხზულებანი ა. ყაზბეგისა“, პირველი ტომი, 2, „აღა მაჰმადხანის შემოსვლა ქ. თბილისში“, ზ. ჭ. გ. მარქაროვმა 1, „Островъ борнео“, კაპიტანის მაინ-რიდისა, 2, „Дѣти лѣсовъ“, მისივე. ნ. ფიცხელაურმა 1, „ნიკოლა ცრინი“, თარგ. ან. თუმ.-წერეთლის მიერ, 2, „Каменный гость“, ა. პუშკინისა, 3, „Гробовщикъ“, მისივე, 4, „Сказка объ Ильѣ Муромцѣ“, პ. პოლევოისა. წიგნთ-საცავს ქართული წიგნები აქვს 260, 8 განყოფილებად; რუსული 552, 5 განყოფილებად. ამ წიგნების რიცხვში მოქცეულია 160 წიგნიც, რომელიც ამოღებულია სხვა-და-სხვა ძველ ჟურნალებიდგან და დაკაზმული ცალ-ცალკე თხზულებებად ამ საანგარიშო წელს.

ამ წლის განმავლობაში წიგთ-საცავიდგან არის გატანილი: ქართული წიგნები 911 ჯერ; რუსული წიგნები 984 ჯერ; „ივერია“ 447 ჯერ; „ცნობის ფურცელი“ 201; „კვალი“ 100; „მეურნე“ 20; „ჯეჯილი“ 106, „მოამბე“ 192, „Кавказъ“ 265; „Новое Обозрѣніе“ 424; „Русь“ 36; „Сынъ Отечества“ 84; „Недѣля“ 56; „Книжки недѣли“ 131; „Русская Мысль“ 120 ჯერ. წიგნთ-საცავიდგან გაუტანიათ დღეში შუა რიცხვით 12 ნომერი.

წევრებად იყვნენ: სასულიერო წოდებისა 5 კაცი; მოხელე და თავად-აზნაურთაგანი 50 კაცი; მოქალაქე 39; სოფლელი 29; მოვაჭრე 22; ხელოსანი 25.

ამ საანგარიშო წელს წიგნთ-საცავს მოსდიოდა: „მოამბე“, „Русская Мысль“-ი, „ჯეჯილი“, „ივერია“ 2 ცალად, „ცნობის ფურცელი“, „Кавказъ“-ი, „Новое Обозрѣніе“ 2 ცალად, „Недѣля“ თავის უფასო წიგნებით და გაზეთ «Русь»-ით მეორე გამოცემა, „კვალი“ და „მეურნე“. მათგან გაზეთი „Русь“-ი მოსდიოდა წიგნთ-საცავს მხოლოდ 25 მაისამდის ე. ი. დაკეტამდის, „მეურნე“ არ მოსდის წიგნთ-საცავს აქამდისაც თავის დროსა და რიგზედ, მიუხედავად იმისა, რომ წიგნთ-საცავის გამგეობა არა ერთხელ დაეკითხა ამის შესახებ რედაქციას. გაზეთი „Кавказъ“-ი, „ცნობის ფურცელი“ და თითო ცალი «ივერიისა» და „Новое Обозрѣніе“-სი მოსდიოდა წიგნთ-საცავს უსასყიდლოდ, რისთვისაც საზოგადო წევრთა კრებამ, რომელიც შესდგა 20 დეკემბერს 1897 წელს და დაამტკიცა ეს ანგარიში, უგულითადესს მადლობას უძღვნის ამ გაზეთების რედაქციებს, სთხოვს ეს ანგარიში გამოაცხადონ თავიანთ გაზეთებში და, აგრეთვე ამ 1898 წლისათვისაც უსასყიდლოდ დაუთმონ თითო ცალი თავიანთ გამოცემებისა.

## ნაკვესი

—

ერთს ქალს ბედი შემოსწყრა და არავინა თხოულობდა. როგორც იყო, საქმროდ ერთი აფიცერი იშოვა. ერთ დღეს-ქალმა თვალი მოჰკრა, რომ იმათ სახლისაკენ სასიძო მიდიოდა და თუმცა კითხვა არ იცოდა, მაგრამ თავის მოსაწონებლად წიგნი აიღო ხელში და დაიწყო ტუჩების ცმაცუნი, ვითომ კითხულობო. შემოვიდა სასიძო და შეეკითხა.

— ე რასა კითხულობთ?

— რომანს.

— როგორ, თავდაყირა კითხულობთ?

— ახ, იმ საძაგელმა გოგომ აგრე მომცა ხელშიო, — უპასუხა წამოწითლებულმა ქალმა.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნიუიორკის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის დიდი დარბაზი სალამოობით განათებულია თურმე ხელოვნურად გაკეთებულ მთვარით. ამ დარბაზს დიდი და მაღალი თაღი აქვსო, სწერენ გაზეთები. თაღის თავში გაკეთებულია ხის ბურთი. თაღის რვა კუთხეში არის თითო პროჟექტორი, რომელთა სინათლე პირდაპირ მიმართულია ამ ბურთზე. თვით ელექტრონის პროჟექტორები არა სჩანს, ასე რომ ადამიანსა ჰგონია, მთელს დარბაზს მთვარე ანათებსო.

* * *

ერთს მოცლილს კაცს გამოუანგარიშნია. რომ ამერიკის მარტო ერთს ქალაქში 1894 წელს კბილების ექიმთათვის ქარხნებს გაუკეთებიათ 8 მილიონი კბილი. ასე ამბობენ მთელს ამერიკაში კბილების პლომბებზე 50 ფუთი (?!!) ოქრო იხარჯებაო ყოველ წლივ.

* * *

როგორც ვუწყით, ელექტრონის ტელეგრაფი შემოღებულ იქმნა 1849 წელს და მას შემდეგ დეპეშას აღარავინა ჰგზავნიდა მტრედის შემწეობით, თუ არა იმ ადგილიდგან, სადაც ტელეგრაფი არ არის გამართული. აქამდე ეჭვი არავისა ჰქონდა, რომ მტრედი ტელეგრაფს ვერ აჯობებს დეპეშის ადრე მიტანაში, მაგრამ ეხლა სულ სხვა აღმოჩნდა. ოქტომბრის გასულს პეტერბურგში მისულა მოსკოვიდგან ერთი ვაჭარი სლავინ და თან მიუყვანია ორი გაწვრთნილი მტრედი. მეორე დღესვე მტრედები გაუშვა და იმავე დროს დეპეშა გაუგზავნა თავისს ცოლს მოსკოვში, თვალი ადევნე, რა დროს მოვლენ მტრედებიო. იმავე დღეს ვაჭარს დეპეშით შეატყობინა ცოლმა, რომ მტრედები დეპეშაზედ სამი საათით უფრო ადრე მოვიდნენო.

## გამოსადეგი ცნობა

თუ გნებავთ, რომ ფეხსაცმელს წყალმა არ შეატანოს, შემდეგი წამალი უნდა გაკეთდეს. აიღეთ ერთი ბოთლი სელის ზეთი, გაათბეთ ცეცხლზედ, მერე ზეთში გახსენით 60 მისხალი ქონი, 6 მისხალი წმიდა სანთელი და ამდენივე წებო. ეს წამალი ოდნავ გაათბეთ ხოლმე და წაუსვით ფეხ-საცმელს.

## შემოწირულება

—

მეფე ერეკლეს სახელობაზედ დაარსებულ ფონდის გასაძლიერებლად მივიღეთ ქ. შუშაში შეგროვილი 42 მან. აი სია შემომწირველთა: თ. აბხაზმა—5 მან., ნ. ევსტაფიევისამ—5 მან., თ. დ. ზ. ვაჩნაძემ—5 მან., ი. ზედგინიძემ—5 მან., ვ. დ. კილოსანიძემ—1 მან., კნ. ქ. ი. მუხრანსკისამ—5 მან., დ. დ. რცხილაძემ—1 მან., თ. დ. ციციშვილმა—5 მან. და პ. გვერდწითელმა—10 მან.

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მადლობას ვუცხადებთ იმათ, რომელთაც შეგვაძლებინეს სოფელ მცხეთის ღარიბ ბავშვებისათვის შობის ხე გაგვემართა, ვინაიდგან შემოსწირეს: კნიაჟ. ივლიტა ჯორჯაძემ 10 მ., ლ. ისარლოვმა 10 მ., ა. ვოლუბოვმა 3 მ., ნუცამ 6 მ., როსტომ ყიფიანმა 3 მ., შ. დედაბრიშვილმა 3 მ., გიორ. და ალექ. მრევლიშვილებმა 3 მ., ილუმენია ნინომ 2 მ., თ. პახომოვისამ 2 მ., კ. მაკარაშვილმა 2 მ., ს. იოსელიანისამ 1 მ., ვლ. აფხაზისამ 1 მ., პ. ციციშვილმა 1 მ., მღ. ლაბაძემ 1 მ., ნ. მესხიმ 1 მ. 10 კ., ნ. თაყაიშვილმა 1 მ. და სხვა-და-სხვათ 14 მან. ამასთანავე მადლობა სვუხდით იმათაც, რომელთაც სხვა-და-სხვა ნივთით მოგვცეს შემწეობა: კნ მარ. გედევანიშვილისას, ელისაბედ რახმანინისას, ბ. ბარამოვს, ბ-ნთ გუნიას და ჭელიძეს.

მცხეთის მონასტრის საქალებო სასწავლებლის მასწავლებელნი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

23 იანვარი

**პეტერბურგი.** 22 იანვარს ხელმწიფე იმპერატორი და ხელმწიფე იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული ბრძანდებოდნენ საზღვაოსნო კადეტთა კორპუსში და საზღვაოსნო აკადემიაში.

**კარკოვი.** არსდება განყოფილება საზოგადოებისა, რომელსაც საგნადა აქვს ბრძოლა გადამდებ სენის წინააღმდეგ სოფლებში; ამ საზოგადოებას მფარველობს პრინცესსა ოლდენბურგისა.

**სოფია.** აგენტმა მარკოვმა დიდს ვეზირს ჩააბარა მოხსენება შესახებ იმ ამბებისა, რომელიც მომხდარა ნოემბრის თკიდგას უსკუბის ვალაიეტში. მოხსენება ბრალსა სდებს ადგილობრივს მთავრობას, რომ დაპატიმრებულ ბულგარელებს აწამებდნენო, მათ შორის ქალებსა და ბავშვებსაც. ასეთმა ძალ-მომრეობამ ძლიერ აღელვა ბულგარელნი და ბულგარიის მთავრობა იძულებულია საქმეში ჩაერეულიყო. ბულგარია სთხოვს ოსმალეთის მთავრობას—დაუყოვნებლივ მოისპოს ეს ძალმომრეობა, ყველა დაპატიმრებულნი გადაყვანილნი იქმნენ უსკუბში, მოისპოს სასამართლოში საქმის გარჩევა იმათ წინააღმდეგ, ვისაც სახლში იარაღი უპოვნეს და დათხოვნილ იქმნან სამსახურიდგან ადგილობრივნი მოხელენი. დასასრულ მოხსენება სთხოვს ოსმალეთის მთავრობას ღონისძიებანი იქმნას მიღებული ხალხის დასამშვიდებლად.

## განცხადებანი

## ვყიდულობ

ყოველ გვარს ძველებურს ნივთებსა სპილენძისასა, თითბრისასა, ვერცხლისასა, ოქროსასა, ძველთა დროს ხელოვნურად მინანქრით ნამუშევარს და აგრეთვე ოქრომკედით ნაკერეულობასა.

ფოტოგრაფი ა. ს. როინაშვილი.

(წ.)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შემდეგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძალლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| კრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჰყონიასი . . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |
| საქართველოს ისტორია დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| საქართველოს ისტორია მ. ბროსესი . . . . . | „ | 70 |
| მეფე გიორგი ბრწყინვალე, ურბნელისა . . . . . | „ | 20 |
| ძეგლის დება (მეფე გიორგის სამართალი), მისივე. | „ | 25 |
| ათაბაგნი ბექა და აღბუღა და მათი სამართალი, მისივე | „ | 50 |
| ამარ მეფე დ. კარიჭაშვილისა. . . . . | „ | 15 |
| სვიმონ მეფე, მისივე . . | „ | 10 |
| როსტომ მეფე, მისივე . | „ | 10 |
| Свѣдѣнія о памятникахъ грузинской письменности проф. А. Цагарели. I выпускъ . . | 1 | 25 |
| II вып. . . | 1 | 50 |
| О грамматической литературѣ грузинскаго языка, его-же . . . | „ | 50 |
| Грамоты и другіе документы XVIII ст., его-же . . . . . . . | 3 | „ |
| Очерки по исторіи грузинской словесности А. Хаханова. . . . | 2 | „ |
| Грузинскіе дворянскіе акты, его-же . . . . | „ | 60 |
| Сигель грузинскаго Царя Баграта IV, Е. Такайшвили . . . | | 60 |
| Матеріалы для русской исторіи, его-же. . . | 3 | |
| Матеріалы для исторіи Кавказа. Буткова 3 т. . . . . . . | 7 | 50 |
| Завѣщаніе царя Давида Возобновител Жорданія - . . | | 30 |

Дозволено цензурою, Тифлисъ 23-го Января 1898 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.